

- 2010–2012 წლებში, წლის განმავლობაში ქვეყანაში დაახლოებით 700–800 უცხოელი მოხალისე პედაგოგი ფიქსირდებოდა. მაინტერესებს, ეს იყო წლის განმავლობაში შემოსული პედაგოგების ჯამური რიცხვი? თუ ეს რაოდენობა იყო მუდმივი და როტაციის პრინციპით ხდებოდა პედაგოგების ჩანაცვლება და რაოდენობის (კვოტის) შევსება?

2010-2012 წლებში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის ფარგლებში საქართველოში ინგლისურენოვან მოხალისეთა 46 ჯგუფი ჩამოვიდა. მოხალისეთა საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 700-800 ადამიანს.

პროგრამის ფარგლებში მოხალისეების მიღება ხორციელდებოდა მცირევადიანი კონტრაქტის საფუძველზე (ძირითადად კონტრაქტი სამთვიან ან ექვსთვიან პერიოდს მოიცავდა). იყო შემთხვევები, როცა მოხალისე კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ტოვებდა პროგრამას სხვადასხვა მიზეზით (კონტრაქტის პირობების დარღვევა, უცხო გარემოში ადაპტაციის სირთულე და ა.შ.). ადგილი ჰქონდა მოხალისეთა ხშირ როტაციას, როგორც რეგიონების, ასევე სკოლების და ოჯახების დონეზე. შესაბამისად ხდებოდა მათი ჩანაცვლება ახალი მოხალისეებით. მონაწილეების პროფესიულ საქმიანობაზე და ზოგადად, პროგრამის მიმდინარეობასა და შედეგებზე წარმოებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოხალისეთა შერჩევის პროცედურა საჭიროებდა დახვეწას, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროგრამის მიზნებთან მისადაგებას და რიგი სხვა საკითხების გადახედვას.

- აგრეთვე, რამდენ პედაგოგს მოიცავდა უცხოელი მოხალისე მასწავლებლების თითო ნაკადი?

წლის განმავლობაში რამდენიმე ნაკადის მიღება ხორციელდებოდა. ნაკადების მიხედვით მოხალისეთა რაოდენობა განსხვავდებოდა: ყველაზე მცირერიცხოვანი ნაკადი შედგებოდა 10 მოხალისისგან, ყველაზე დიდი - 110 მოხალისისგან.

- რატომ მოხდა მოხალისე პედაგოგების რაოდენობის შემცირება? ჩატარდა თუ არა საამისოდ რაიმე ტიპის კვლევა, რის საფუძველზეც აღნიშნული გადაწყვეტილება იქნა მიღებული?

პროექტის საწყის ეტაპზე აქცენტი კეთდებოდა მოხალისეთა რაოდენობაზე. პროექტი მიზნად ისახავდა მაქსიმალურად ყველა სკოლას ჰქონოდა შესაძლებლობა სასწავლო პროცესში ჩაერთო მშობლიურ ენაზე მოსაუბრე უცხოელი მასწავლებელი. მოხალისეთა დიდი რაოდენობა ართულებდა ხარისხის მართვის პროცესს. მოხალისეების მიღებისა და გადინების მუდმივი პროცესი იწვევდა სკოლებში სასწავლო პროცესის შეფერხებას. მოკლევადიანი ხელშეკრულების პირობებში მოხალისე არ იყო ორიენტირებული გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების მიზნით, 2013 წლიდან პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ, გამკაცრდა და შეიცვალა მოხალისეთა შერჩევის კრიტერიუმები და დარეგულირდა კონტრაქტის ვადები. პროგრამაში ჩართული ყველა მოხალისისთვის ინგლისური ენა გახლავთ მშობლიური ენა, შერჩეულ მასწავლებლებს აქვთ სწავლებისა და მოხალისეობრივი გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მოხალისეების განაწილება ხდება მხოლოდ იმ სკოლებსა და ოჯახებში, რომლებიც თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ და არა ყველა სკოლაში.

- როგორ ფიქრობთ, ამ მომენტისათვის ქვეყანაში არსებული უცხოელი პედაგოგების რაოდენობით რამდენად არის შესაძლებელი ქვეყანაში ინგლისური ენის სწავლების წახალისების ხელშეწყობა? რამდენად იძლევა არსებული რესურსი ამის რეალურ შესაძლებლობას?

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ რაოდენობა არ არის ხარისხის განმსაზღვრელი და აუცილებელია სწორად გათვლილი და საჭიროებაზე მორგებული სტრატეგიის შემუშავება. პედაგოგთა ნაწილი, მიუხედავად აკადემიური ცოდნისა, აღიარებს ენის პრაქტიკის დეფიციტით გამოწვეულ ხარვეზებს, რაც ართულებს უცხოური ენების სტანდარტის ეფექტიან განხორციელებას. მიღებული გამოცდილების ანალიზის შედეგად, პროგრამა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, მიმდინარეობს პროგრამის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, რომლის მიზანია უცხოური ენების სწავლა-სწავლების ხელშეწყობა. გრძელვადიანი შედეგების მისაღებად აქცენტი კეთდება სკოლებში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და ხარისხიანი სასწავლო რესურსის შექმნაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

- ხომ არ იგეგმება სამომავლოდ ინგლისური ენის პედაგოგების რაოდენობის გაზრდა?

2015-2016 სასწავლო წლიდან დაგეგმილია მოხალისეთა კორპუსის დაახლოებით 40 %-ით გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებლებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა ფრანგული და გერმანული ენების სწავლა-სწავლების ხელშეწყობის საჭიროებაც, მით უფრო, რომ უცხო ენების ცოდნა გლობალურ სამყაროში ინტეგრირების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. გერმანული და ფრანგული ენების ჩართვა პროგრამაში განხორციელდება საპილოტე რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ გერმანული და ფრანგული მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას აღნიშნული წამოწყების მხარდასაჭერად.

- რამდენად არის მოთხოვნა აღნიშნული პროგრამისადმი უცხოელი პედაგოგების მხრიდან? და რა პრინციპით ხდება მათი შერჩევა?

ძირითადად პროგრამით დაინტერესებას გამოთქვამენ ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სურვილი მოხალისეობის ფარგლებში მიიღონ ან გაიღრმავონ პრაქტიკული გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში მათი შემდგომი კარიერული წინსვლის მიზნით. თუმცა პროგრამაში ჩართვის სურვილს ასევე გამოთქვამენ პედაგოგიური გამოცდილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც სურთ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

მოხალისეთა შერჩევა ხორციელდება პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით კონკურსის წესით. უპირატესობა ენიჭება პედაგოგიური და/ან მოხალისეობრივი გამოცდილების მქონე კანდიდატებს. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს კონკურსის პირობების თანახმად მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რისი დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ის გადის გასაუბრების ეტაპზე. საქართველოში ჩამოსვლამდე კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, როგორცაა ცნობები ნასამართლეობისა და ჯანმრთელობის შესახებ.

- არსებობს თუ არა იმის სტატისტიკა, რამდენი უცხელი მოხალისე პედაგოგი გამოთქვამს, პროგრამაში მონაწილეობის სურვილს და რამდენი მათგანის მოთხოვნის დაკამყოფილება ხდება (ასეთი სტატისტიკის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი მონაცემები)?

პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ, გამკაცრდა და შეიცვალა მოხალისეთა შერჩევის კრიტერიუმები და დარეგულირდა კონტრაქტის ვადები. სავალდებულო გახდა პროგრამაში მონაწილე მოხალისისთვის ინგლისური ყოფილიყო მშობლიური ენა, უპირატესობა მიენიჭა კანდიდატებს, რომელთაც გააჩნიათ სწავლებისა და მოხალისეობრივი გამოცდილება. ბოლო წლებში დარეგისტრირებული მოხალისე მასწავლებლობის მსურველთა რაოდენობის საშუალოდ 35% შეირჩა და ჩამოვიდა საქართველოში.

- პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, საქართველოს მთავრობის მიერ უცხოელი პედაგოგებისათვის შეთავაზებულ პირობებში შევიდა თუ არა რაიმე ტიპის ცვლილება?

მოხალისეების წამახალისებელ პაკეტში არსებითი ცვლილებები არ შესულა.

2014 წლიდან ცვლილება შეეხო მხოლოდ მოხალისეთა საშვებულებო ანაზღაურების წესს. კერძოდ, ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობს მოხალისე, რომელიც ორი სრული სემესტრის განმავლობაში თანამშრომლობს პროგრამასთან და არ იყენებს საშვებულებო ავია-ბილეთს.

აღნიშნული ცვლილება განხორციელდა შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და პროგრამის დანახარჯების მიზნობრიობის ანალიზის გათვალისწინებით.

- ცვლილებების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ მათ შესახებ;

აღნიშნულ ცვლილებამდე, მოხალისეს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა, როგორც ანაზღაურებადი შვებულებით, ასევე საშვებულებო ავია-ბილეთით.

- აგრეთვე გთხოვთ, მოკლედ აღგვიწეროთ ინგლისურენოვანი პედაგოგის როლი გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში.

მოხალისეთა სკოლაში ყოფნით ხელი ეწყობა სწავლების ახალი მეთოდის - თანამშრომლობითი სწავლების დანერგვას. სწორედ, თანამშრომლობითი სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მეთოდების ფარგლებში ხდება მოხალისისა და ადგილობრივი მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის წარმართვა.

მონალისეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას განსაკუთრებული როლი ენიჭება ენის ისეთი კომპეტენციების გაღრმავებაში, როგორცაა მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. მონალისეები აქტიურად არიან ჩართული კულტურათაშორის, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებებში. მონალისეების ძალისხმევით სკოლებში ფუნქციონირებს უცხოური ენის კლუბები.